ბრძოლა იწყება თავიდან

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 10 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “ნეფტიანიკი” (ბაქო) 3:0 (2:0).

“ნეფტიანიკი”: ისმაილოვი, ალიოშინი, სემიგლაზოვი, ჭანჭალეიშვილი, ჯალილოვი, ალესკეროვი, ეინულაევი, გრიაზევი, გოლოდეცი, კუზნეცოვი, კახიანი (ტუაევი).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

ბაქოს “ნეფტიანიკის” თამაშის მანერა კარგად იყო ცნობილი თბილისელთათვის. ამ გუნდის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მაღალი კლასის ფეხბურთელი ი. კუზნეცოვი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს თავის პარტნიორების თამაშს თითქმის მთელ მინდორზე, საჯარიმო მოედნიდან მოწინააღმდეგის კარამდე. იგი აქტიურად ერევა თითქმის ყველა კომბინაციაში და საბოლოო დარტყმისათვის უმზადებს პოზიციას გოლოდეცს, ეინულაევსა და კახიანს (გრიაზევი უკანაა დახეული და დაცვითს ფუნქციებს ასრულებს). ამიტომ “დინამოს” ახალგაზრდა ნახევარმცველის გ. სიჭინავას წინაშე იდგა რთული ამოცანა: კუზნეცოვის ნეიტრალიზება, მისი გამოთიშვა ბრძოლის შუაგულიდან.

ეს ამოცანა სიჭინავამ საუკეთესოდ შეასრულა და ბაქოელები დარჩნენ თავიანთი ლიდერისა და ორგანიზატორის უნარიანი ხელმძღვანელობის გარეშე, უმისოდ კი ამ გუნდს არ შესწევს ძალა ტაქტიკურად სწორად წარმართოს თამაში, ერთ მთლიანობაში მოაქციოს ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური მოქმედებანი, ამის გამო თამაშმა საბოლოოდ მიიღო ასეთი ხასიათი: “დინამო” ცდილობდა გაეშალა თამაში, შეექმნა ფართო ფრონტი შეტევაში, “ნეფტიანიკი” კი ყოველმხრივ უშლიდა მას ხელს ამაში და ტექნიკური ჩამორჩენის კომპენსაციას ეძებდა საჯარიმო მოედანთან შექმნილ გაძლიერებულ დაცვაში.

ძნელია თქმა იმისა, რომ გუნდმა, რომელმაც თავის კარში გაუშვა 3 “მშრალი” ბურთი, შეასრულა რაიმე ტაქტიკური ამოცანა, მაგრამ ფაქტია, რომ “ნეფტიანიკთან” თამაშში დინამოელებმა ვერ აჩვენეს მთელი თავიანთი ძალა და შესაძლებლობანი. კომბინაციები, საერთო ურთიერთმოქმედება, ცალკეულ თავდამსხმელთა ინდივიდუალური გარღვევები სრულდებოდა დაძაბულად, გაჭირვებით, ძალების დიდი დახარჯვით. ასე მაგალითად, მესხმა მთელი თავისი ტექნიკური და სპრინტერული არსენალიდან ვერაფერი გამოიყენა ალიოშინთან პირისპირ ბრძოლაში. კალოევი სისტემატურად კარგავდა ბურთს, პასიურად მოქმედებდა მარჯვენა ფრთაზე დათუნაშვილი. მხოლოდ ბარქაიამ ითამაშა უკეთესად, ვიდრე წინა მატჩებში.

გაუგებრად, შეცდომებით თამაშობდნენ კარის წინ შექმნილ კრიტიკულ მომენტებში ჩვენი გუნდის მცველებიც. ჩოხელი, ხოჭოლავა, ბ. სიჭინავა, ხელაძე ყოვლად უსარგებლო დრიბლინგს იწყებდნენ მაშინ, როცა ეს არა თუ არ იყო ნაკარნახევი თამაშის პირობებით, არამედ აშკარად სარისკო და სახიფათო იყო პირველ ყოვლისა მათს ზურგს უკან მყოფი საკუთარი მეკარისათვის. ასეთი “ფათერაკების” ძიება შეიძლება ძვირად დაუჯდეს გუნდს.

ყველაფერ ამას ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში იწყება ყველაზე საპასუხისმგებლო, ძნელი ეტაპი _ ბრძოლა უძლიერესებთან. აქ საქმე გვექნება არა “ნეფტიანიკთან”, არამედ მოსკოვისა და კევის უძლიერეს გუნდებთან, სადაც თითოეული ქულა “ოქროს ფასად” ფასობს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, უკეთ ვიდრე წინ მატჩებში, ითამაშა ბარქაიამ და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მეტად საჭირო ფეხბურთელი თანდათან შედის ფორმაში. საუკეთესო იყო მის მიერ მე-10 წუთზე გატანილი გოლი: ბარქაიას წინაშე თითქმის გაუვალი კედელი იყო აღმართული ოთხი მცველისაგან. რა თქმა უნდა, მას შეეძლო ღიად დარჩენილ ფლანგზე გაეთამაშებინა ბურთი, მაგრამ მან მოულოდნელად და მეტად ზუსტად დაარტყა მარჯვენა მაღალ კუთხეში, რომელიც ისმაილოვისათვის მიუღწეველი აღმოჩნდა _ 1:0.

მეორე გოლის ავტორი იყო კალოევი. მან ჯალილოვთან ბრძოლაში კარგად გამოიანგარიშა დრო და მანძილი, დაასწრო მეკარეს და თავით გაგზავნა ბურთი კარში _ 2:0.

მესამე ბურთი გაიტანა კვლავ ბარქაიამ ზედ “ფარდის დაშვების” წინ. ეს იყო ისეთივე მოულოდნელი და ზუსტი დარტყმა, როგორიც პირველი _ 3:0.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 12 აგვისტო, 1961 წ.